OK! ჟურნალი OK! NEWS OK! კულტურა OK! მენეჯერი OK! DOCTORS

OK! SPORT OK! ვიდეო OK! BUSINESS



# #OK! სიყვარულით შექმნილი ექსკლუზიური ნამუშევრები TEIO CERAMICS-ისგან

March 1, 2022 საკითხავი დრო: 1 წუთში წასაკითხი

Facebook-ზე გაზიარება LinkedIn-ზე გაზიარება WhatsApp-ზე გაზიარება

Telegram-ზე გაზიარება

დღევანდელი ჩემი რესპონდენტი ძალიან საინტერესო ადამიანია. როგორც თავად იხსენებს, ყოველდღიურ სამუშაო რუტინასთან ერთად სჭირდებოდა ისეთი აქტივობის დამატება, რომელიც საშუალებას მისცემდა გამოეხატა საკუთარი თავი. Teio Ceramics-ის თითოეულ



მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვობაში ყურადღებით ვაკვირდებოდი თითოეული თეფშის, ჭიქის მოხატულობასა და მოყვანილობას. სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც დედას ვთხოვე ჩემთვის თეთრი კერამიკის თეფშები ეყიდა. ასე დავიწყე ხატვა ჭურჭელზე. ილიას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშენებლო კომპანიაში დავიწყე მუშაობა, თუმცა ვგრძნობდი, რომ მჭირდებოდა ისეთი აქტივობა, რომელიც საშუალებას მომცემდა გამომეხატა საკუთარი თავი და შინაგანი სამყარო. მოვძებნე თიხით ძერწვის კურსები და სხვადასხვა ნამუშევრების შექმნას შევუდექი. ახლაც მახსოვს პირველი ჩემი დასრულებული ნამუშევრით მიღებული სიამოვნება, სიამაყე – ის ყველაფერს იტევდა, ყველა ჩემს ემოციას და ინსპირაციას. ინდოეთში მოგზაურობა იყო ჩემთვის გარდამტეხი, რამაც შთამაგონა შემექმნა ბრენდი Teio Ceramics, რომელიც იქნებოდა საკუთარი შინაგანი ბუნებისა და ფერადი სამყაროს გამოხატულება. ასე იქცა ბავშვობის ოცნება რეალობად.

**რა სახის პროდუქციას სთავაზობთ თქვენს მომხმარებელს?**

ჩემი ნამუშევრები არის როგორც გამოყენებითი, ისე დეკორატიული ხასიათის. მაქვს სხვადასხვა ხაზი და მიმდინარეობა. წამყვანი ადგილი კი იაპონური სტილის სარიტუალო ჩაის ნაკრებებს უჭირავს, რომლითაც ბრენდმა დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც ქართულ ბაზარზე, ისე საზღვრებს გარეთ. ასევე, საინტერესოა იოგას ხაზიც. 5 წელია იოგას ვვარჯიშობ და ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ვძერწავ სხვადასხვა იოგა-ასანებს სკულპტურულ ჭრილში. მასალებს დიდი დაკვირვებით ვარჩევ და ნედლეულის მომწოდებლისგან ყოველთვის მოვითხოვ ხარისხისა და უსაფრთხოების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ჩემი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ძენის სამედიტაციო/სარელაქსაციო ბაღი, რომელიც სასარგებლოა ჩვენი მენტალური ბალანსისთვის. მასზე მოთხოვნა მაღალია.

**რისგან იღებთ ყველაზე დიდ ინსპირაციას?**

მოგზაურობიდან, მიყვარს აზიური კულტურა, მისი  ესთეტიკა, ბუნება. ამ ქვეყნებში მოგზაურობა მუდამ სხვადასხვა კარს მიხსნის და ეს ჩემს ნამუშევრებშიც იგრძნობა. ასევე, უდიდესი ინსპირაციაა ჩემთვის ბუნება, მცენარეები, ყვავილები… საათობით ვსეირნობ ბუნებაში, ვაკვირდები კვირტებს, ტოტებს, ყვავილის თითოეულ ფურცელს… ყველა დეტალი ხელოვნების საოცარი ნიმუშია, ვცდილობ შევისწავლო და შემდეგ ჩემს ნამუშევრებში რაც შეიძლება ბუნებრივად და ორგანულად გადმოვიტანო.




**ალბათ მუდმივად ცდილობთ განვითარებას. ცოდნას როგორ იღრმავებთ?**

დიახ, მუდმივად. 2019 წელს ვიყავი ვიეტნამში, კერამიკის სოფელ ბატ-ტრანგში, სადაც გავეცანი მათ ტრადიციულ თიხის დამუშავების სხვადასხვა ტექნიკას. 2020 წელს ვიყავი მაროკოში, სადაც შევისწავლე თიხის დამუშავებისა და გამოწვის სპეციფიკა, ხოლო მარაქეშში, ცნობილ ოსტატთან გავიარე მაროკოული ტექნიკით ხატვის მასტერკლასები.

მონაწილეობა მივიღე Crafting Europe-ის პროექტში, iAtelier-ის კონკურსში, რომელიც გამოცხადდა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ. ტრადიციული რეწვისა და

მინივერსია – მაგიდა, რომელზეც შესაძლებელია ქვევრიდან ღვინის ჩამოსხმა და ადგილზე, ცხელ თათარაში ჩურჩხელის ამოვლება). ორივე პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში და ჩემმა ინოვაციურმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**სად შეუძლია მომხმარებელს თქვენი პროდუქციის შეძენა?**

მომხმარებელს შეუძლია სასურველი დიზაინისა და ექსკლუზიური ნამუშევრების შეკვეთა, რომელიც იქნება პერსონალიზებული და მხოლოდ ერთი. მზა პროდუქციის შეძენა კი შესაძლებელია როგორც ადგილზე, სახელოსნოში, ისე სოციალურ ქსელში – Teio Ceramics-ის გვერდზე. გარდა ამისა, უდიდეს ონლაინ შოპინგპლატფორმა Etsy.com-ზე.

**წარმატებები, თეონა. სამომავლო გეგმებიც გაგვაცანით.**

მუდამ ექსპერიმენტებში ვარ და ვცდილობ მომხმარებელს ინოვაციური და განსხვავებული პროდუქცია შევთავაზო. სამომავლოდ ვაპირებ გაფართოებას, პროდუქციის კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას და ასევე, მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, სახელოსნოში სხვადასხვა სამოყვარულო/პროფესიული კურსის დამატებას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

Email: teioceramics@gmail.com

https://www.facebook.com/Teio-Ceramics-848424132023305/

ტექსტი: სოფიო მალანია

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘ



#OK! Seaside Fairytale in Athens – ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ




#OK! ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ – ᲘᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ

## #OK! წარმატებას თავად შენ ქმნი

JUNE 12, 2026

## #OK! ლაივ სკეტჩი, ანუ ხელოვნების ნიმუში რამდენიმე წუთში

JUNE 12, 2026




## ახლა კითხულობენ



### #OK! მატილდა გვარლიანი Massimo Dutti-ის ახალი კამპანიის სახეა

JANUARY 16, 2023



### #OK! დემი ლოვატო Glamour-ისთვის! მომღერალი 187,68 ფუნტის ღირებულების პიჯაკით!

MARCH 12, 2021

### #OK! ადგილი, სადაც ბედნიერება და ღიმილი უსასრულოა – „ნინო დადვანის ესთეტიკის და სტომატოლოგიის ცენტრი“

OK! ჟურნალი OK! NEWS OK! კულტურა OK! მენეჯერი OK! DOCTORS
OK! SPORT OK! ვიდეო OK! BUSINESS





### #OK! დუა ლიპა და კალუმ ტერნერი ოფიციალურად ცოლ-ქმარი არიან!

JUNE 1, 2026

## კვირის ჰიტები



### #OK!  მსახიობი ქეით ბლანშეტი ოქსფორდის უნივერსიტეტის ახალ მიწვეულ პროფესორად დაინიშნა

JUNE 17, 2026



### #OK! კონცერტის მიმდინარეობისას, 10 წლის გოგონამ სცენაზე გონება დაკარგა – ფსიქოლოგისა და განათლების სფეროს წარმომადგენლის კომენტარები

JUNE 12, 2026



### #OK! ინგლისში საკვერცხის კიბოს სამკურნალო ინოვაციური პრეპარატი დაამტკიცეს

JUNE 13, 2026



### #OK! ქეით მიდლტონის ოთხი გამორჩეული ლუქი

JUNE 18, 2026

ჩვენ შესახებ / კონტაქტი / რეკლამა / კონფიდენციალურობის პოლიტიკა / საიტის არქივი